



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 27 მარტი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19: 00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
6. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
7. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
8. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
9. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია

განსახილველი საკითხები

1. არასამთავრობო ორგანიზაციების კოოპერაციის/პარტნიორობის პრობლემები კოალიციურ პროექტებში და მათი გადაჭრის გზები

2. დედამიწის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება
3. ინფორმაცია „საქართველოს ეროვნული პლატფორმის პოზიცია ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევებისა და არსებული პრობლემების შესახებ“ მიმართვის მომზადების თაობაზე
4. ინფორმაცია ხუდონ ჰესის შეთანხმებაზე მომუშავე ჯგუფის მუშაობის შესახებ
5. ჯგუფის პოზიცია ენერგეტიკულ საკითხებთან დაკავშირებით

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა ისაუბრა კოალიციურ პროექტებში არასამთავრობო ორგანიზაციების კოოპერაციის/პარტნიორობის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. მისი თქმით, მართალია პლატფორმის სამუშაო ჯგუფები პერიოდულად იკრიბებიან და გარკვეულ დროს უთმობენ სხვადასხვა საკითხების განხილვას, თუმცა არ არსებობს არანაირი მოტივაცია იმისთვის, რომ დახარჯული დრო მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს გამოყენებული როგორც თითოეული წევრი ორგანიზაციის, ასევე მთლიანად პლატფორმის სასიკეთოდ. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, მოტივაციის შესაქმენლად აუცილებელია არსებობდეს ურთიერთობის გარკვეული ფორმა და კოალიციური პროექტების არსის სწორი აღქმა. ამ ეტაპისთვის პლატფორმას არ აქვს მუშაობის მკაფიოდ განსაზღვრული ფორმატი, პროექტებში პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და გრანტის მიმღები ძირითადად არის ერთი ლიდერი ორგანიზაცია. შესაბამისად, ძალიან დაბალია კოოპერაციის ინტერესი პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს შორის.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა პლატფორმის დარეგისტრირებისა და აღმასრულებელი სამდივნოს შექმნის შესახებ. მისი თქმით, საჭიროა სამდივნო იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი, შეასრულოს ეროვნული პლატფორმის გადაწყვეტილებები, მუშაობის მთელი დატვირთვა კი გადავიდეს ჯგუფებზე. ეს ერთი მხრივ მოხსნის პლატფორმაში არსებულ ბევრ პრობლემას, ხოლო მეორე მხრივ გაზრდის მოტივაციას წევრებს შორის. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება მთლიანად პლატფორმის დარეგისტრირება, პირველ ეტაპზე შესაძლებელია დარეგისტრირდეს მხოლოდ მესამე სამუშაო ჯგუფი.

დამსწრეთა უმეტესობა არ დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას პლატფორმის ან მესამე სამუშაო ჯგუფის დარეგისტრირების შესახებ, რადგან მათი თქმით, პლატფორმის სახით კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა არ იქნება მიზანშეწონილი. პლატფორმის მთავარი ამოცანაა ევროინტეგრაციის მიმართულებით წევრებს შორის არსებული გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება, მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და არა კონკრეტული პროექტებისთვის თანხების მოძიება. დამსწრეთა უმრავლესობის აზრით, პლატფორმა ჯერ მზად არ არის დარეგისტრირებისთვის. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელი ჯგუფის თანაკოორდინატორთან

კონსულტაციით მოამზადებს წინადადებას პლატფორმის დარეგისტრირების შესახებ, რომელიც შემდგომი კომენტარებისთვის დაიგზავნება პლატფორმის ყველა სამუშაო ჯგუფში.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა გეგმავს კონფერენციის გამართვას. დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია გაკეთდეს მესამე სამუშაო ჯგუფის ერთობლივი ღონისძიება, რომელსაც ორგანიზებას გაუწევს მწვანეთა მოძრაობა.

თანაკოორდინატორის ინფორმაციით პლატფორმის საკოორდინაციო საბჭომ მოამზადა განცხადების სამუშაო ვერსია, რომელიც ეხება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გამოწვევებსა და არსებულ პრობლემებს. პირველი სამუშაო ჯგუფის 26 მარტის შეხვედრაზე გაჟღერებული კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტი გადამუშავდა და ერთხმად იქნა მიღებული ჯგუფის წევრების მიერ. ტექსტი დაიგზავნა პლატფორმის საერთო ქსელში და სურვილის შემთხვევაში ოთხივე ჯგუფის წევრებს აქვთ შესაძლებლობა შემოურთდნენ განცხადებას. პლატფორმის წევრთა უმეტესობის მხარდაჭერის შემთხვევაში, განცხადება გავრცელდება არა მხოლოდ პირველი სამუშაო ჯგუფის, არამედ მთლიანად პლატფორმის სახელით.

თანაკოორდინატორის თქმით, ხუდონ ჰესის შეთანხმებაზე მომუშავე ჯგუფმა გადაწყვიტა საერთო ტექსტის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს ჯგუფის ყველა წევრის შენიშვნას. თანაკოორდინატორის მიერ მომზადებული დოკუმენტის სამუშაო ვერსია დაიგზავნება შეთანხმებაზე მომუშავე ჯგუფში შემდგომი კომენტარებისა და შენიშვნებისთვის.

შეხვედრის ბოლოს მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენელმა დამსწრეებს აცნობა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო აწარმოებს მოლაპარაკებებს ენერგოკომპანიებთან ტარიფთან დაკავშირებით. ამ კომპანიებთან ადრე ხელმოწერილი მემორანდუმები პირდაპირ ეწინააღმდეგება საბაზრო კონკურენციის და ეკონომიკური რეგულირების პრინციპებს. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა მესამე ჯგუფმა განახორციელოს მონიტორინგი იმის დასადგენად აუარესებს თუ არა ახალი შეთანხმებები არსებულ მდგომარეობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ასოცირების ხელშეკრულებასა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ენერგეტიკულ საკითხებზე მესამე სამუშაო ჯგუფის სახელით შემუშავდება ერთობლივი მიმართვის ტექსტი.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია